საქართველოს იუსტიციის მინისტრის

ბრძანება №117
2016 წლის 11 იანვარი

ქ. თბილისი

იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხის განსაზღვრის შესახებ, სადაც 2016 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის

„ნოტარიატის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის 2^2 პუნქტისა და მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, **ვბრძანებ:**

1. დამტკიცდეს იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) თანდართული ნუსხა, სადაც 2016 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის.
2. საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და საქართველოს ნოტარიუსთა პალატამ უზრუნველყონ კანონმდებლობით გათვალისწინებული ღონისძიებების განხორციელება იმ დასახლებებში (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებებში), სადაც სანოტარო მომსახურება 2016 წელს სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის, ამ ბრძანებით დამტკიცებული ნუსხით გათვალისწინებული რაოდენობის ნოტარიუსთა დასანიშნად.
3. ეს ბრძანება ამოქმედდეს 2016 წლის 11 იანვრიდან.

საქართველოს იუსტიციის მინისტრი **თეა წულუკიანი**

იმ დასახლებათა (მათ შორის, მაღალმთიან დასახლებათა) ნუსხა, სადაც 2016 წელს სანოტარო მომსახურება სათანადოდ ხელმისაწვდომი არ არის

№	დასახლება	2016 წელს დასანიშნ ნოტარიუსთა რაოდენობა
	მაღალმთიანი დასახლებები	
1	დაბა მესტია	1
2	დაბა ლენტეხი	1
3	ქალაქი ცაგერი	1
4	ქალაქი ამბროლაური	1
5	ქალაქი ონი	1
6	დაბა ქედა	1
7	დაბა ასპინძა	1
8	დაბა ბაკურიანი	1
9	ქალაქი ნინოწმინდა	1
10	დაბა თიანეთი	1

11	ქალაქი წალკა	2
	სხვა დასახლებები	
1	ქალაქი მარტვილი	1
2	ქალაქი ლანჩხუთი	1
3	ქალაქი ვანი	1
4	ქალაქი წყალტუბო	1
5	ქალაქი ჭიათურა	1
6	დაბა ადიგენი	1
7	ქალაქი ბორჯომი	1
8	ქალაქი ქარელი	1
9	ქალაქი კასპი	1
10	ქალაქი დუშეთი	2
11	ქალაქი თეთრიწყარო	1
12	სოფელი სართიჭალა	1
13	ქალაქი ახმეტა	1
14	ქალაქი საგარეჯო	1
15	ქალაქი ყვარელი	1
16	სოფელი კაჭრეთი	1
17	ქალაქი სიღნაღი	1
18	ქალაქი დედოფლისწყარო	1“.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2016 წლის 22 აგვისტოს ბრძანება №172 - ვებგვერდი, 22.08.2016 წ.